უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 22 0001379646

31/10/2022

შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის მიერ ავტორიაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 30 აგვისტოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის (ს/კ: 405284473) ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 17 ოქტომბრის №1378914 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ.

თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო

სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა